წესები და პირობები

[17.03.2026]

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მოცემულ წესებსა და პირობებს (შემდგომში „**წესები**“), რომლებიც არეგულირებს თქვენს მონაწილეობას **„თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების ვაჭრობის ტურნირში“.** აღნიშნული **კამპანიით** სარგებლობით, თქვენ სრულად აცნობიერებთ და ეთანხმებით წინამდებარე **წესებს.**

1. კამპანიის აღწერა

1.1 „თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების ვაჭრობის ტურნირი“ (შემდგომში - „**კამპანია**“) ორგანიზებულია **შპს თიბისი კაპიტალის** (ს/ნ: 204929961) (შემდგომში - „**თიბისი კაპიტალი**“) მიერ.

1.2 **კამპანიის** ფარგლებში მონაწილეები ერთმანეთს შეეჯიბრებიან თავიანთი საინვესტიციო პორტფელის პროცენტული ამონაგების მიხედვით.

1.3 **კამპანიის** მიმდინარეობისას მონაწილეები შეძლებენ იხილონ ყოველკვირეული ლიდერბორდი, სადაც წარმოდგენილი იქნება საუკეთესო შედეგის მქონე მონაწილეთა რეიტინგი (შემდგომში - „**ლიდერბორდი**“).

1.4 **კამპანიის** დასრულების შემდეგ საუკეთესო შედეგის მქონე მონაწილეები დაჯილდოვდებიან **თიბისი კაპიტალის** მიერ განსაზღვრული **პრიზით**.

2. კამპანიის ვადები

2.1 **კამპანიაში** მონაწილეობის სურვილის დაფიქსირების პერიოდი: **2026 წლის 17 მარტი 19:00 საათიდან - 2026 წლის 22 მარტი 23:59 საათამდე** (შემდგომში - „**კამპანიაში მონაწილეობის სურვილის დაფიქსირების პერიოდი**“).

2.2 **კამპანიის** დაწყების დრო: **2026 წლის 23 მარტი, 17:30 საათი** (შემდგომში - „**კამპანიის დაწყების დრო**“).

2.3 **კამპანიის** დასრულების დრო: **2026 წლის 20 აპრილი, 01:00 საათი** (შემდგომში - „**კამპანიის დასრულების დრო**“).

2.4 წინამდებარე **წესების** 2.2 და 2.3 პუნქტებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი (**კამპანიის დაწყების დროიდან კამპანიის დასრულების დრომდე**) წარმოადგენს **კამპანიის** სრულ პერიოდს (შემდგომში - „**კამპანიის სრული პერიოდი**“).

3. კამპანიაში მონაწილეობის პირობები

3.1 **კამპანიაში** მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ ყველა კრიტერიუმს:

- **კამპანიის დაწყების დროიდან წესების** 6.6 პუნქტით განსაზღვრული **პრიზების** გადაცემის დროისთვის ფლობს სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ 204854595) მობაილბანკის პლატფორმაზე გახსნილ აქტიურ საინვესტიციო ანგარიშს;

- **კამპანიის სრული პერიოდის განმავლობაში**, მათ შორის **წესების** 6.6 პუნქტით განსაზღვრული **პრიზების** გადაცემის დროისათვის არის Facebook (ფეისბუქ) ჯგუფის - **„ინვესტიციები — ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე“** წევრი (იხ. ლინკი) ;
- **კამპანიის დაწყების დროისთვის** სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ 204854595) მობაილბანკის პლატფორმაზე მონაწილის სრული საინვესტიციო პორტფელის ჯამური ღირებულება შეადგენს მინიმუმ 50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარს;
- **თიბისი კაპიტალის** მიერ დადგენილ ვადებში სრულად ავსებს წინამდებარე წესების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო განაცხადს, სადაც დაადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე **კამპანიის წესებს**;
- **თიბისი კაპიტალისგან** მიღებული აქვს **კამპანიაში** მონაწილეობის შესახებ დასტური წინამდებარე **წესების** 4.5 პუნქტის შესაბამისად.

3.2 **კამპანიაში** მონაწილეობით, მონაწილე ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება დანართ N1-ს (დღიური ვაჭრობის შეზღუდვა - Pattern Day Trading Rule), იაზრებს მასთან დაკავშირებულ რისკებს და თავად არის პასუხისმგებელი აღნიშნული წესების დაცვაზე. დანართი N1 თან ერთვის წინამდებარე **წესებს** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.3 ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **კამპანიაში** მონაწილეობის უფლება არ აქვთ სს „თიბისი ბანკსა“ (ს/ნ 204854595) და **თიბისი კაპიტალში** დასაქმებულ პირებს, მათ შორის მათ, ვინც დასაქმდება **კამპანიის** მიმდინარეობის პერიოდში, მიუხედავად მათი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის ფორმისა (მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ უვადო ან ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, გამოსაცდელი ვადა, სტაჟირება ან ნებისმიერი სხვა ტიპის შეთანხმება, რომელიც უთანაბრდება შრომით ურთიერთობას).

4. რეგისტრაციის პროცესი

4.1 **კამპანიაში** მონაწილეობის მისაღებად მონაწილემ უნდა გაიაროს რეგისტრაცია სპეციალური ელექტრონული ფორმის (Microsoft Forms) მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წინამდებარე **წესების** 2.1 პუნქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში Facebook (ფეისბუქ) ჯგუფში - **„ინვესტიციები — ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე“** (იხ. ლინკი) და სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ 204854595) მობაილბანკის მთავარ გვერდზე შეთავაზებების ჩანართში.

4.2 რეგისტრაციისას მონაწილე ვალდებულია მიუთითოს: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და Facebook (ფეისბუქ) პროფილის მისამართი.

4.3 რეგისტრაციისას მონაწილე ეთანხმება და ადასტურებს:

- მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე **კამპანიის** მიზნებისათვის **წესების** მე-10 მუხლით დადგენილი წესით;
- მისი ინიციალების, საინვესტიციო შედეგებისა და პროცენტული ამონაგების საჯაროდ გამოქვეყნებაზე **ლიდერბორდში**;
- წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებულ პირობებს/ვალდებულებებს.

4.4 კამპანიის ფარგლებში **თიბისი კაპიტალსა** და მონაწილეს შორის კომუნიკაცია განხორციელდება წინამდებარე **წესების** 4.2 პუნქტის შესაბამისად რეგისტრაციისას მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მონაწილე თავად არის პასუხისმგებელი მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის სისწორეზე, სისრულესა და მასზე წვდომაზე.

4.5 **ლიდერბორდის წესების** 7.3 პუნქტის შესაბამისად პირველი შედეგების გამოქვეყნებამდე, **თიბისი კაპიტალი** გადაამოწმებს რეგისტრირებული მონაწილის მონაცემებს წინამდებარე **წესებით** დადგენილ პირობებთან შესაბამისობაზე. **კამპანიაში** მონაწილეობის დასტური (შესაბამისი შეტყობინება) გაეგზავნებათ მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ წინამდებარე **წესებით** დადგენილ კრიტერიუმებსა და პირობებს. შეტყობინება გაიგზავნება **წესების** 4.2 პუნქტის შესაბამისად რეგისტრაციისას დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. შეტყობინების არმიღება ნიშნავს, რომ პირი ვერ აკმაყოფილებს **კამპანიის წესებს** და მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

4.6 წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე პირობის შეუსრულებლობა, მონაცემების არასრულყოფილად მითითება ან/და 4.3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებზე უარის თქმა/არ დათანხმება, ავტომატურად გამორიცხავს მონაწილის მონაწილეობას **კამპანიაში**. **თიბისი კაპიტალი** იტოვებს უფლებას, ყოველგვარი დამატებითი დასაბუთების გარეშე, არ დაუშვას **კამპანიაში** ის მონაწილე, რომლის მიერ წარმოდგენილი მონაცემებიც მცდარია, არასრულია ან/და არ შეესაბამება **კამპანიის** მოთხოვნებს.

5. კამპანიის პრინციპი და მეთოდოლოგია

5.1 მონაწილეები **კამპანიის სრული პერიოდის განმავლობაში** ერთმანეთს ეჯიბრებიან თავიანთი საინვესტიციო პორტფელის პროცენტული ამონაგების მიხედვით.

5.2 შემოსავლიანობის გამოთვლა ხდება დროზე შეწონილი ამონაგების (Time Weighted Return – TWR) მეთოდოლოგიის საფუძველზე.

5.3 შემოსავლიანობის გამოთვლის დეტალური მეთოდოლოგია აღწერილია დანართი N2-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე **წესებს** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.4 **კამპანიაში** მონაწილეობით და წინამდებარე **წესებზე** დათანხმებით, მონაწილე ადასტურებს, რომ სრულად იცნობს და ეთანხმება დანართი N2-ით განსაზღვრულ მეთოდოლოგიასა და პრინციპებს.

6. საპრიზო ფონდი

6.1 **კამპანიის** ფარგლებში გამოვლინდება 3 (სამი) გამარჯვებული. გამარჯვებულები გამოვლინდებიან **კამპანიის სრული პერიოდის** შედეგების მიხედვით, წინამდებარე **წესების** მე-5 მუხლით განსაზღვრული TWR მეთოდოლოგიის საფუძველზე დათვლილი საუკეთესო საინვესტიციო პორტფელის პროცენტული შემოსავლიანობის შესაბამისად.

6.2 **კამპანიის** ჯამური საპრიზო ფონდი (შემდგომში - „**საპრიზო ფონდი**“) შეადგენს 3,000 (სამი ათასი) აშშ დოლარს, რომელიც არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახად(ებ)ს.

6.3 **კამპანიის ჯამური საპრიზო ფონდი** წინამდებარე **წესების** შესაბამისად გამოვლენილ გამარჯვებულებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად (შემდგომში - „**პრიზი**“):

- I ადგილი: 1,500 (ერთი ათას ხუთასი) აშშ დოლარი;
- II ადგილი: 1,000 (ერთი ათასი) აშშ დოლარი;
- III ადგილი: 500 (ხუთასი) აშშ დოლარი.

6.4 **პრიზები** გამარჯვებულებს ჩაერიცხებათ სს „თიბისი ბანკის“ მობაილბანკის პლატფორმაზე არსებულ მათ საინვესტიციო ანგარიშზე.

6.5 **კამპანიის** საბოლოო შედეგები და გამარჯვებულთა ვინაობა გამოქვეყნდება 2026 წლის 20 აპრილიდან 2026 წლის 26 აპრილამდე პერიოდში Facebook (ფეისბუქ) ჯგუფში - **„ინვესტიციები — ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე“** (იხ. ლინკი).

6.6 **პრიზები** გამარჯვებულებს დაერიცხებათ სს „თიბისი ბანკის“ მობაილბანკის პლატფორმაზე არსებულ მათ საინვესტიციო ანგარიშზე **წესების** 6.5 პუნქტით განსაზღვრული საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ლიდერბორდი

7.1 **კამპანიის** განმავლობაში **თიბისი კაპიტალი** უზრუნველყოფს ყოველკვირეული რეიტინგის (შემდგომში - „**ლიდერბორდი**“) გამოქვეყნებას Facebook (ფეისბუქ) ჯგუფში - **„ინვესტიციები — ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე“** (იხ. ლინკი), რომელშიც წარმოდგენილი იქნება 10 (ათი) საუკეთესო შედეგის მქონე მონაწილე.

7.2 **ლიდერბორდში** გამოქვეყნდება:

- მონაწილის ინიციალები (რომელიც შედგება მონაწილის სახელისა და გვარის პირველი ასოებისგან. მაგალითად, თ.ბ.);
- მისი პროცენტული შემოსავლიანობა;
- ყველაზე მომგებიანი პოზიცია (აქტივი).

7.3 **ლიდერბორდის** გამოქვეყნების თარიღები:

პერიოდი	გამოქვეყნების თარიღი
I კვირა	2026 წლის 30 მარტი (არაუგვიანეს 31 მარტისა)
II კვირა	2026 წლის 06 აპრილი (არაუგვიანეს 07 აპრილისა)
III კვირა	2026 წლის 14 აპრილი (არაუგვიანეს 15 აპრილისა)

7.4 **ლიდერბორდის** საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2026 წლის 20 აპრილიდან 2026 წლის 26 აპრილამდე **წესების** 6.5 პუნქტით განსაზღვრული წესით.

7.5 ყოველკვირეული **ლიდერბორდი** ატარებს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს და მასში დაფიქსირებული მონაცემები არ წარმოადგენს გარანტიას საბოლოო გამარჯვებულების გამოვლენისათვის. საბოლოო გამარჯვებულები განისაზღვრება მხოლოდ **კამპანიის** დასრულების შემდგომ, სრული პერიოდის მონაცემების საფუძველზე.

8. პასუხისმგებლობა

8.1 **თიბისი კაპიტალი** არ არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის, რომელიც მოიცავს პირდაპირ, არაპირდაპირ, სპეციალურ, შემთხვევით, მიზეზ-შედეგობრივ ზიანს, რაც გამოწვეულია **კამპანიის** ან **კამპანიის** ფარგლებში შეძენილი აქცი(ებ)ის არამართლზომიერი გამოყენებით და წინამდებარე **წესების** დარღვევით.

8.2 მონაწილე **წესებზე** დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **თიბისი კაპიტალს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირ ან არაპირდაპირ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური, საოპერაციო ან საკომუნიკაციო შეფერხებებით (მათ შორის, დამოუკიდებელი ბროკერის, DriveWealth LLC-ის სისტემების მიერ), აგრეთვე ზიანზე/ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მონაწილის პროგრამული უზრუნველყოფის ან მობაილ ბანკის ვერსიის გამოყენებით, რომელიც არ არის განახლებული უახლესი ხელმისაწვდომი ვერსიით.

8.3 მონაწილე **წესებზე** დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ აქციებისა და მათი ფასების შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია დამოუკიდებელი ბროკერის, DriveWealth LLC-ის მიერ და **თიბისი კაპიტალი** არ იღებს პასუხისმგებლობას მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე.

8.4 მონაწილე აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **კამპანია** არ წარმოადგენს **თიბისი კაპიტალის** მხრიდან გაცემულ საინვესტიციო, იურიდიულ ან სხვა სახის ფინანსურ რჩევას/რეკომენდაციას ან მოწოდებას ინვესტირებისკენ. **თიბისი კაპიტალი** პასუხისმგებლობას არ იღებს არსებულ ან/და მომავალ ფინანსურ შედეგებზე. ნებისმიერ გადაწყვეტილებას ინვესტიციის განხორციელების შესახებ მონაწილე იღებს დამოუკიდებლად.

9. მონაწილის დისკვალიფიკაცია

9.1 **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დამატებითი დასაბუთებისა თუ განმარტების წარდგენის ვალდებულების გარეშე, შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს მონაწილეს **კამპანიაში** მონაწილეობა (მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია).

9.2 **თიბისი კაპიტალის** მიერ **წესების** 9.1 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენება შესაძლებელია **კამპანიის** ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდგომ - **პრიზის** ფაქტობრივ გადაცემამდე.

9.3 დისკვალიფიცირებულ მონაწილეს ავტომატურად ეზღუდება წვდომა **საპრიზო ფონდზე** და მას არ წარმოეშობა უფლება მოითხოვოს **კამპანიის** ფარგლებში დაფიქსირებული შედეგების აღიარება ან რაიმე სახის კომპენსაცია.

10. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და კონფიდენციალურობა

10.1 **კამპანიაში** მონაწილეობით, მონაწილე გამოხატავს თანხმობას, რომ **თიბისი კაპიტალმა** და სს „თიბისი ბანკმა“ (ს/ნ 204854595) დაამუშაონ **წესების** 4.1 პუნქტში მითითებულ სარეგისტრაციო ფორმაში მითითებული და თიბისი მობაილბანკის საინვესტიციო პლატფორმაზე რეგისტრაციის მიზნით მოპოვებული პერსონალური მონაცემები **კამპანიაში** მონაწილეობისა და ადმინისტრირების მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

10.2 მონაწილე დამატებით აცხადებს თანხმობას შემდეგზე:

- **კამპანიის** მიმდინარეობისას **ლიდერბორდის** ფარგლებში გამოქვეყნდეს მონაწილის სახელისა და გვარის ინიციალები და მისი საინვესტიციო პორტფელის პროცენტული ამონაგები;
- მონაწილის Facebook (ფეისბუქ) პროფილის მისამართი გაუზიარდეს შპს „ონ.ჯის“ (ს/ნ 405295265), როგორც Facebook ჯგუფის — „ინვესტიციები — ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე“

ადმინისტრატორს, **კამპანიაში** მონაწილეობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით.

10.3 მონაწილეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ან დააფიქსიროს მოთხოვნა მონაცემთა დამუშავების შეწყვეტასთან დაკავშირებით შემდეგი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით:

- ტელეფონის ნომერი: +995 322 27 27 97; ან
- ელ-ფოსტა: Brokerage@tbccapital.ge

11. სხვა პირობები

11.1 Facebook (ფეისბუქ) ჯგუფი - **„ინვესტიციები – ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე“** (იხ. ლინკი) **კამპანიის** ფარგლებში გამოიყენება, როგორც დამხმარე საინფორმაციო პლატფორმა. ჯგუფში გაწევრიანება მონაწილეებს საშუალებას აძლევს, ერთიან სივრცეში და ოპერატიულად გაეცნონ **კამპანიის** მიმდინარეობასთან დაკავშირებულ სიახლეებს, ტექნიკურ განახლებებსა და ლიდერბორდის მონაცემებს. ჯგუფი მხოლოდ ამ საინფორმაციო მიზნით გამოიყენება და მასში განთავსებული არცერთი მასალა/ინფორმაცია/დოკუმენტი არ წარმოადგენს **თიბისი კაპიტალის** მხრიდან ფინანსურ რჩევას, საინვესტიციო რეკომენდაციას ან/და მოწოდებას კონკრეტული ქმედებისკენ.

11.2 წინამდებარე **წესები** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობითა და მონაწილესა და **თიბისი კაპიტალს** შორის გაფორმებული „თიბისი კაპიტალის ინვესტიციების გენერალური ხელშეკრულებით“.

11.3 მონაწილე ვალდებულია **კამპანიაში** არ ჩაერთოს ან/და **კამპანიის** ფარგლებში შეძენილი აქციები არ გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო, თაღლითური ან/და **თიბისი კაპიტალისათვის** ზიანის მომტანი მიზნებისთვის.

11.4 **თიბისი კაპიტალი** იტოვებს ცალმხრივ, დისკრეციულ და უპირობო უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, დასაბუთებისა და საფუძვლის მითითების ვალდებულების გარეშე **თიბისი კაპიტალის** შიდა პროცედურების, პოლიტიკის ან/და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე - შეუჩეროს, შეუზღუდოს ან შეუწყვიტოს მონაწილეს **კამპანიაში** მონაწილეობა, თუ **თიბისი კაპიტალი** ჩათვლის, რომ მონაწილე არღვევს **კამპანიის წესებს**, საქართველოს კანონმდებლობას ან/და მისი ქმედება ზიანს აყენებს **თიბისი კაპიტალს**.

11.5 მონაწილეს არ აქვს უფლება მოსთხოვოს **თიბისი კაპიტალს** ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ მან ვერ მოიპოვა გამარჯვებულის სტატუსი, ვერ მიიღო **პრიზი** (მათ შორის ტექნიკური შეფერხების ან **წესების** დარღვევის გამო) ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელიც დაკავშირებულია **კამპანიასთან**.

11.6 **თიბისი კაპიტალი** იტოვებს ცალმხრივ და უპირობო უფლებას, თავად და დამოუკიდებლად ნებისმიერ დროს შეცვალოს **წესები**, ხოლო მონაწილე ვალდებულია მუდმივად იცავდეს ზემოაღნიშნულს.

დანართი N1

დღიური ვაჭრობის შეზღუდვა (Pattern Day Trading Rule)

აშშ-ის საფონდო ბაზრის რეგულაციების მიხედვით, მონაწილე შეიძლება დაექვემდებაროს დღიური ვაჭრობის შეზღუდვას. მონაწილე აცნობიერებს და ეთანხმება შემდეგ პირობებს:

1. თუ მონაწილე 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში თავის საინვესტიციო ანგარიშზე განახორციელებს ჯამში 3 (სამი) დღიური ვაჭრობის ქმედებას, **თიბისი კაპიტალს** გააჩნია უფლება და არა ვალდებულება, შეუზღუდოს მონაწილეს მეოთხე ასეთი ქმედების განხორციელება, რათა თავიდან იქნას აცილებული კლიენტისთვის ე.წ. დღიური მოვაჭრის სტატუსის (Pattern Day Trader) მინიჭება.

2. დამოუკიდებელი ბროკერი DriveWealth LLC უფლებამოსილია, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში და მონაწილესთან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის შესაბამისად, დაუწესოს მონაწილეს დღიური მოვაჭრის სტატუსთან დაკავშირებული შეზღუდვები.

3. აღნიშნული შეზღუდვა შეიძლება არ გავრცელდეს მონაწილეზე, რომელიც თავის საინვესტიციო ანგარიშზე განათავსებს და ნებისმიერ მომენტში შეინარჩუნებს 25,000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარზე მეტი ოდენობის აქტივებს.

4. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს დაუწესდა დღიური მოვაჭრის სტატუსთან დაკავშირებული შეზღუდვა, რის შემდეგაც მან საინვესტიციო ანგარიშზე განათავსა 25,000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარზე მეტი ოდენობის თანხა, შეზღუდვები შეიძლება მოეხსნას თანხის განთავსებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, იმ პირობით, რომ მონაწილემ საინვესტიციო ანგარიშზე ნებისმიერ მომენტში უნდა შეინარჩუნოს 25 000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარზე მეტი ოდენობის თანხა. შეზღუდვის მოხსნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებელ ბროკერ DriveWealth LLC-ზეა დამოკიდებული.

5. **კამპანიაში** მონაწილეობისას დღიური ვაჭრობის წესების დარღვევის გამო ანგარიშზე დაწესებულ ნებისმიერ შეზღუდვაზე, რაც შეიძლება აისახოს **კამპანიის** შედეგებზე, პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მონაწილეს.

დანართი N2

Time Weighted Return მეთოდოლოგია

შემოსავლიანობის გაანგარიშება მოიცავს მხოლოდ სააქციო პორტფელს (მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, „სმარტ პორტფელს“). საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ფულადი ნაშთები აღირიცხება განცალკევებულად და არ მონაწილეობს შემოსავლიანობის კალკულაციაში.

თითოეული მონაწილის შემოსავლიანობა ერთი სავაჭრო დღისთვის *d* გამოითვლება შემდეგნაირად:

$$r_d = \frac{(\boldsymbol{Unrealized\ P\&L_d} + \boldsymbol{Realized\ P\&L_d})}{\boldsymbol{Beginning\ Equity\ Balance_d}}$$

ცვლადების განმარტება:

$\boldsymbol{Unrealized\ P\&L_d}$ - **არარეალიზებული მოგება/ზარალი** - ბაზრის მიმდინარე ფასით გადაფასებული მოგება ან ზარალი ყველა პოზიციაზე, რომელიც დღის *d* ბოლოს ღიად რჩება. აღნიშნული ასახავს ღია სააქციო პოზიციების საბაზრო ღირებულების ცვლილებას დღის განმავლობაში.

$\boldsymbol{Realized\ P\&L_d}$ - **რეალიზებული მოგება/ზარალი** - სააქციო პოზიციების გახსნით ან/და დახურვით დღის *d* განმავლობაში ფიქსირებული მოგება ან ზარალი. გამოითვლება გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და გაყიდული აქციების შეძენის ღირებულებას შორის სხვაობით. დივიდენდები და კორპორატიული მოქმედებები გამოირიცხება.

$\boldsymbol{Beginning\ Equity\ Balance_d}$ - **სააქციო პორტფელის საწყისი ნაშთი** - სააქციო პორტფელის მთლიანი საბაზრო ღირებულება *d* დღის დასაწყისში. აღნიშნული ტოლია წინა სავაჭრო დღის (*d-1*) დახურვის მომენტისთვის სააქციო პორტფელის ღირებულებისა. კამპანიის პირველი დღისთვის მოცემული მაჩვენებელი ტოლია მონაწილისთვის მინიჭებული პორტფელის საწყისი ღირებულებისა.

ამასთან, შემოსავლიანობის დათვლისას არ გაითვალისწინება ერთი სავაჭრო დღის განმავლობაში ერთი და იმავე ფინანსური ინსტრუმენტის ყიდვა-გაყიდვით (Day Trading) მიღებული რეალიზებული მოგება ან ზარალი.

<u>მაგალითი:</u>

დავუშვათ, მონაწილე *d* დღეს იწყებს **$10,000** ღირებულების სააქციო პორტფელით.

დღის განმავლობაში:

- მონაწილე ყიდის პოზიციას და აფიქსირებს **$200** მოგებას (რეალიზებული მოგება/ზარალი)
- დარჩენილი ღია პოზიციები დღის ბოლოსთვის **$150**-ით იზრდება საბაზრო ღირებულებით (არარეალიზებული მოგება/ზარალი)

დღიური შემოსავლიანობა:

$$r_d = \frac{(200 + 150)}{10{,}000} = \frac{350}{10{,}000} = \boldsymbol{+3.50\%}$$

მომდევნო დღის სააქციო პორტფელის საწყისი ნაშთი იქნება **$10,350** (*d* დღის დახურვის სააქციო ღირებულება).

<u>თვიური დროით შეწონილი შემოსავლიანობა:</u>

კონკურსის მთლიანი თვიური შემოსავლიანობა გამოითვლება კონკურსის პერიოდის ყველა სავაჭრო დღის დღიური შემოსავლიანობების გეომეტრიული ჯაჭვური კომბინირებით (ე.წ. compounding):

$$\boldsymbol{TWR = (1 + r_1) \times (1 + r_2) \times \ldots \times (1 + r_N) - 1}$$

სადაც $\boldsymbol{r_1, r_2, \ldots, r_N}$ არის დღიური შემოსავლიანობები კამპანიის თვის თითოეული **N** სავაჭრო დღისთვის.

<u>გეომეტრიული ჯაჭვური კომბინირება</u>

გეომეტრიული კომბინირება ასახავს მოგებისა და ზარალის რეინვესტირების ეფექტს დროთა განმავლობაში.

<u>მაგალითი</u>

დღე	**დღიური შემოსავლიანობა**
I დღე	+3.50%
II დღე	–1.20%
III დღე	+2.00%

$$TWR = (1.035) \times (0.988) \times (1.020) - 1 = \boldsymbol{1.0433 - 1 = +4.33\%}$$